



## საქართველოს პარლამენტი

### საქართველოს პარლამენტის საქართველოს პარლამენტის მოწივირებულ შენიშვნებს

საქართველოს კონსტიტუციის 46-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, წარმოგიდგენთ საქართველოს პრეზიდენტის მოწივირებულ შენიშვნებს საქართველოს პარლამენტის მიერ 2024 წლის 20 თებერვალს მიღებულ „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონზე.

საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული საკანონმდებლო ცვლილების თანახმად, იცვლება ცესკოს თავმჯდომარისა და ე.წ. პროფესიული წევრების არჩევის წესი და კვორუმი. კერძოდ, გათვალისწინებულია მათი არჩევის პროცესში ხმათა 3/5-იანი კვორუმის შემოღება. თუმცა, თუკი 90 ხმა ვერ იქნება უზრუნველყოფილი, მათ 76 ხმით აირჩევენ. წარდგენილი კანდიდატებისათვის შესაძლებელი იქნება 76 ხმით მხარდაჭერის მიღება ორჯერ, რის შემდეგაც 76 ხმით არჩეული კანდიდატი უფლებამოსილებას 5 წლის ვადით განახორციელებს. იმ შემთხვევაში, თუ პარლამენტი კანდიდატებს ვერცერთი კენჭისყრის შედეგად ვერ აირჩევს, საკითხი გადაწყვეტილების მისაღებად გადაეცემა პრეზიდენტის ცვლილებების შესაბამისად, პრეზიდენტს კენჭისყრიდან ერთ კვირაში ეგზავნება კონკურსში მონაწილე პირთა სია და დოკუმენტაცია. პრეზიდენტი უფლებამოსილი იქნება აღნიშნული სიისა და დოკუმენტაციის მიღებიდან ერთ კვირაში სიაში შემავალ პირთაგან 5 წლის ვადით დანიშნოს კანდიდატები.

გარდა აღნიშნულისა, საკანონმდებლო ცვლილებების თანახმად, კანდიდატების შესარჩევ კონკურსს პრეზიდენტის ნაცვლად პარლამენტის თავმჯდომარე გამოაცხადებს და ცესკოს თავმჯდომარისა და ცესკოს წევრების კანდიდატურებს პარლამენტის თავმჯდომარე წარუდგენს პარლამენტს.

ხელმოსაწერად წარმოდგენილი ცვლილებებით უქმდება ცესკოს თავმჯდომარის იმ მოადგილის თანამდებობა, რომელზეც პირი ცესკოს პარტიული წევრებისაგან ოპოზიციის კვოტით ინიშნება.

ევროკომისიის მიერ გათვალისწინებული ცხრა ნაბიჯიდან ერთ-ერთი უკავშირდება საარჩევნო საკითხებს. საქართველომ უნდა უზრუნველყოს თავისუფალი, სამართლიანი და კონკურენტული საარჩევნო პროცესი, განსაკუთრებით, 2024 წელს და სრულად გაითვალისწინოს ეუთო/ODIHR-ის რეკომენდაციები.

აღსანიშნავია საქართველოსა და ევროკავშირს შორის გამართული ასოცირების საბჭოს მე-8 სხდომის შემდეგ პრესისათვის გაკეთებული ერთობლივი განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ ასოცირების საბჭომ მხედველობაში მიიღო საარჩევნო ჩარჩოს გასაუმჯობესებლად გატარებული რეფორმები და მოუწოდა საქართველოს, დროულად დაასრულოს საარჩევნო რეფორმა მოახლოებულ არჩევნებამდე, ვენეციის კომისიისა და ეუთო/ODIHR-ის რეკომენდაციების შესაბამისად, და უზრუნველყოს თავისუფალი, სამართლიანი და კონკურენტული საარჩევნო პროცესი.

არჩევნების კონსტიტუციური სტანდარტებით ჩატარებისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის არსებობას. როგორც ვენეციის კომისია და ODHIR აღნიშნავენ, არჩევნების ჩატარების საკანონმდებლო ბაზა უნდა ეფუძნებოდეს არჩევნებში მონაწილე ყველა პარტიას შორის მაქსიმალურად ფართო კონსენსუსს და ყველა ძალისხმევა უნდა იქნეს მიმართული ამ პროცესისადმი საერთო ნდობის მისაღწევად; ამავე დროს, პროცესის ეფექტიანობას განაპირობებს მხოლოდ ყველა იმ დაინტერესებული მხარის დიალოგი, რომელსაც ნამდვილად აქვს ქართული დემოკრატიის დაცვის

და გამლიერების სურვილი (იხ., ვენეციის კომისიისა და ODIHR-ის ერთობლივი დასკვნა CDL-AD(2023)047, §15).

ვენეციის კომისიისა და ODIHR-ის მიერ წინა პერიოდში გაკეთებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ არ არსებობს საარჩევნო ადმინისტრაციის ფორმირების კონკრეტული საერთაშორისო სტანდარტი; ამიტომ თითოეულმა ქვეყანამ უნდა გამონახოს ყველაზე შესაფერისი მოდელი, რომელიც შეესაბამება ადგილობრივ ტრადიციებსა და კარგ პრაქტიკას და ეფუძნება ზოგად სახელმძღვანელო პრინციპებს, განსაკუთრებით, საარჩევნო ადმინისტრაციის დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობას, არჩევნების დაინტერესებული მხარეების ნდობას არჩევნების მართვის უწყებების მიმართ, ისე როგორც გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულებას მთელ საარჩევნო პროცესში (იხ., ვენეციის კომისია და ODIHR, CDL-AD(2021)022, ერთობლივი დასკვნა საარჩევნო კოდექსში ცვლილებების პროექტზე, პუნქტი 25). როგორც საარჩევნო საკითხების კარგი პრაქტიკის კოდექსშია აღნიშნული, „[სადაც] არ არსებობს პოლიტიკური ძალაუფლების მქონე სუბიექტებისგან ადმინისტრაციული ხელისუფლების დამოუკიდებლობის ხანგრძლივი ტრადიცია, მიუკერძოებელი საარჩევნო კომისიები უნდა შეიქმნას ყველა დონეზე, დაწყებული ეროვნული დონიდან, დასრულებული საარჩევნო უბნის დონით“, რათა არჩევნები ჩატარდეს სწორად ან, მინიმუმ, გაქარწყლდეს დარღვევების სერიოზული ეჭვი (იხ., ვენეციის კომისია, საარჩევნო საკითხებში კარგი პრაქტიკის კოდექსი, CDL-AD(2002)023rev2-cor, სახელმძღვანელო II 3.1.b. (ასევე, იხ., ვენეციის კომისიისა და ODIHR-ის ერთობლივი დასკვნა CDL-AD(2023)047, §16).

აღსანიშნავია, რომ 2023 წლის 13 ივნისს საარჩევნო კოდექსში მიღებული ცვლილებები საქართველოს პრეზიდენტმა 2023 წლის 26 ივნისს მოტივირებული შენიშვნებით დაუბრუნა საქართველოს პარლამენტს. შენიშვნები არ იქნა გაზიარებული და მიუხედავად არაერთი კრიტიკული მოსაზრებისა და მოწოდებისა, მათ შორის, საერთაშორისო პარტნიორების მხრიდან, პარლამენტმა 2023 წლის 3 ივლისს მაინც მიიღო კოდექსის პირვანდელი რედაქცია.

ამ ცვლილებებით ცესკოს თავმჯდომარისა და წევრების არჩევისათვის განსაზღვრული ხმების რაოდენობა შემცირდა პარლამენტის სრული შემადგენლობის ორი მესამედიდან სრული შემადგენლობის უმრავლესობამდე. იმავდროულად, ცესკოს თავმჯდომარისა და წევრების შესარჩევად კონკურსს აცხადებს და საკონკურსო კომისიას საქართველოს პრეზიდენტის ნაცვლად ქმნის საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე.

აღსანიშნავია, რომ 2023 წლის 22 ივნისს გამოქვეყნდა სამეზობლო პოლიტიკისა და გაფართოების საკითხებში ევროკავშირის კომისრის შეფასება საქართველოსათვის ევროკომისიის 2022 წლის 17 ივნისის დასკვნით განსაზღვრული 12 პრიორიტეტული ამოცანის შესრულების მიმდინარეობის შესახებ. ამ შეფასებაში გამოთქმულია წინადადება ცესკოს წევრებისა და ცესკოს თავმჯდომარის არჩევის პარლამენტის მიერ მიღებულ ახალ წესთან დაკავშირებით.

ამ შეფასების გათვალისწინებით, საპარლამენტო უმრავლესობაში შემავალი დეპუტატების მიერ დაინიცირდა საარჩევნო კოდექსსა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში ცვლილებების პროექტი, რომელიც ცესკოს თავმჯდომარისა და ე.წ. არაპარტიული წევრების არჩევის წესში ცვლილებების შეტანას ითვალისწინებდა. ზემოხსენებული ცვლილებების პროექტის პირველი მოსმენით მიღების შემდეგ პროცესი შეჩერდა, რათა შესაძლებელი ყოფილიყო ვენეციის კომისიისა და ODHIR-ის ერთობლივი დასკვნის გათვალისწინება, თუმცა საქართველოს პარლამენტმა არ გაიზიარა ვენეციის კომისიისა და ODIHR-ის დასკვნაში შემოთავაზებული რეკომენდაციები, 2024 წლის 20 თებერვალს ცვლილებები მიიღო და ხელმოსაწერად გადაუგზავნა საქართველოს პრეზიდენტს.

დასკვნაში ასევე აღნიშნულია, რომ შემოთავაზებული ზრდა უბრალო უმრავლესობის კვოტიდან კვალიფიციურ 3/5 უმრავლესობამდე, კვოტის ცვლილებებთან დაკავშირებით ვენეციის კომისიისა და ODIHR-ის წინა ერთობლივი რეკომენდაციების გათვალისწინებით, სწორი მიმართულებით

გადადგმული ნაბიჯია. იმ დროს შემოთავაზებული უბრალო უმრავლესობის კვოტის საკითხის კომენტირებისას, 2021 წლის აპრილის გადაუდებელ ერთობლივ დასკვნაში აღინიშნა, რომ ცესკოს არაპარტიული წევრებისა და თავმჯდომარის ხმათა უბრალო უმრავლესობით არჩევამ შეიძლება გამოიწვიოს ყველა წევრისა და ხელმძღვანელის მმართველი პარტიის მიერ დანიშვნა და რეკომენდაცია გაეწია ნომინაციის ან/და დანიშვნის ალტერნატიული მექანიზმების შესწავლას უფრო ფართო კონსენსუსის უზრუნველყოფის, უმაღლესი საარჩევნო ორგანოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის გარანტირების, ასევე საარჩევნო ადმინისტრაციის მიმართ საზოგადოების ნდობის გაზრდის მიზნით (იხ., ვენეციის კომისიისა და ODIHR-ის ერთობლივი დასკვნა CDL-AD(2023)047, §26, ასევე, იხ., ვენეციის კომისია და ODIHR, CDL-AD(2021)022, ერთობლივი დასკვნა საარჩევნო კოდექსში ცვლილებების პროექტზე, პუნქტები 31 და 34).

2023 წლის 18 დეკემბრის დასკვნაში ვენეციის კომისია და ODIHR ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ საარჩევნო პროცედურების სამართლიანობა, სამართლიანობის აღქმა და, საბოლოდ, თავად არჩევნების სამართლიანობა, მეტწილად დამოუკიდებულია არჩევნების მართვის ორგანოებზე და მათდამი საზოგადოების ნდობაზე. ამისათვის საჭიროა, რომ მათი წევრები, მათ შორის, თავმჯდომარე, აირჩეოდნენ ისეთი პროცედურებით, რომელთა მიზანია კონსენსუსი (იხ., ვენეციის კომისიისა და ODIHR-ის ერთობლივი დასკვნა CDL-AD(2023)047, §19).

ვენეციის კომისიისა და ODIHR-ის რეკომენდაციაა საკანონმდებლო ცვლილებების პროექტის შეცვლა არაპარტიული წევრებისა და ცესკოს თავმჯდომარის დანიშვნა/არჩევის საკითხზე კონსენსუსის მისაღწევად; დასკვნაში აღნიშნულია, რომ ეს შეიძლება პირველ რიგში გულისხმობდეს საპარლამენტო უმრავლესობის 2/3-ის მოთხოვნის შემოღებასა და, ნებისმიერ შემთხვევაში, ჩიხის საწინააღმდეგო მექანიზმს, რომელიც ითვალისწინებს კვალიფიციურ უმრავლესობას, მანამ, სანამ სავარაუდოდ მივმართავთ მარტივ (ან აბსოლუტურ) უმრავლესობას, როგორც ჩიხიდან საბოლოო გამოსავალს.

იმავდოოულად, რეკომენდაციაა, რომ არაპარტიული წევრებისა და ცესკოს თავმჯდომარის წარდგენის უფლებამოსილება პარლამენტის თავმჯდომარის ნაცვლად გადაეცეს საქართველოს პრეზიდენტს (იხ., ვენეციის კომისიისა და ODIHR-ის ერთობლივი დასკვნა CDL-AD(2023)047, §57).

საარჩევნო კოდექსის 2023 წლის 3 ივლისის რედაქციისაგან განსხვავებით, 2024 წლის 20 თებერვლის რედაქციაში გათვალისწინებულია 3/5-იანი კვორუმით კანდიდატების არჩევა. თუმცა იმ შემთხვევაში, თუ პარლამენტი აღნიშნული უმრავლესობით ვერ შეძლებს კანდიდატების არჩევას, შესაძლებელი ხდება  $\frac{1}{2}$ -ის უმრავლესობით არჩევა. შესაბამისად, წარმოდგენილი ცვლილებებით, კვლავინდებურად შესაძლებელი ხდება პარლამენტის მიერ  $\frac{1}{2}$ -ის უმრავლესობით, ერთპარტიულად, კონსენსუსის გარეშე, 5 წლის ვადით ცესკოს თავმჯდომარისა და ე.წ. პროფესიული წევრების არჩევა.

კვალიფიციური უმრავლესობით არჩევის მექანიზმი ქმნის საკანონმდებლო ორგანოში შესაბამისი სუბიექტების კონსენსუსის საფუძველზე არჩევის წინაპირობას, რაც მნიშვნელოვანი გარემოებაა ცესკოს, საარჩევნო პროცესების, ზოგადად, ჩატარებული თუ ჩასატარებელი არჩევნების მიმართ ნდობის გაზრდის თვალსაზრისით.

2023 წლის 3 ივლისს მიღებული საარჩევნო კოდექსის განმარტებით ბარათში აღნიშნულია, რომ კენჭისყრის არსებულმა წესმა ვერ უზრუნველყო კანდიდატების საპარლამენტო ოპოზიციასთან ერთად, კონსენსუსით არჩევის წახალისება, გამოიწვია მხოლოდ და მხოლოდ პროცესის გაჭიანურება, ხოლო მისი მთავარი მიზანი – კანდიდატების საპარლამენტო ოპოზიციასთან ერთად, კონსენსუსის საფუძველზე არჩევა – კვლავ მიუღწეველია.

კონსენსუსზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების საჭიროება, ცესკოს თავმჯდომარისა და წევრების კონსენსუსის საფუძველზე არჩევის მნიშვნელობა არ შეიძლება სადაც იყოს. გააუქმო კონსენსუსზე დაფუძნებული გადაწყვეტილება იმ მოტივით, რომ ვერ შედგა შეთანხმება პარლამენტში წარმოდგენილ პარტიებს შორის, ვერ მოხერხდა კონსენსუსის მიღწევა და ცესკოს

თავმჯდომარე და არაპარტიული/პროფესიული წევრები აირჩიო, ფაქტობრივად, ერთპარტიული საპარლამენტო უმრავლესობით, გაუმართლებელია და ვერ იქნება მხარდაჭერილი. როგორც ვენეციის კომისიისა და ეუთო/ODIHR-ის დასკვნაშია (დასკვნა N1030/2021; ODIHR დასკვნა Nr ELE-GEO/408/2021, გ31) აღნიშნული, იმ პირობებში, როცა არ არსებობს მოთხოვნა კვალიფიციური უმრავლესობით თავმჯდომარეობის კანდიდატის არჩევასთან დაკავშირებით, ეს არსებითად ნიშნავს, რომ თავმჯდომარე მმართველ პარტიას წარმოადგენს.

აღსანიშნავია, რომ პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის ფიცის დადების დღიდან ჩატარდა არაერთი კონკურსი ცესკოს თავმჯდომარისა და წევრობის კანდიდატთა შერჩევის მიზნით. თითოეული მათგანი ჩატარდა და კანდიდატურები საქართველოს პარლამენტში წარდგენილ იქნა კანონმდებლობის სრული დაცვით. კონკურსების შედეგად, არაერთი კანდიდატურა, მათ შორის, ცესკოს მოქმედი თავმჯდომარისა, ორჯერ იქნა წარდგენილი, თუმცა ვერ მოხერხდა პარლამენტში მისი კონსენსუსის საფუძველზე, ორი მესამედის უმრავლესობით არჩევა, რაც განპირობებულია არსებული პოლიტიკური პოლარიზაციით. სამწუხაროდ, აღნიშნული კვლავ მნიშვნელოვანი გამოწვევაა.

საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, ისევ შეზღუდულია საქართველოს პრეზიდენტის როლი ცესკოს თავმჯდომარისა და წევრების თანამდებობაზე განწესების პროცესში. 2024 წლის 20 თებერვლის საკანონმდებლო ცვლილებებში იმის დამატება, რომ იმ შემთხვევაში, თუ პარლამენტი ჯერ 3/5-ით, ხოლო შემდეგ ½-ის უმრავლესობით ორჯერ ვერ აირჩევს კანდიდატს, საკითხი გადაეცემა პრეზიდენტს, რა თქმა უნდა, არსებითად ვერ ცვლის პრეზიდენტის ჩართულობის ხარისხსა და როლს, რადგან ძალიან დაბალია იმის ალბათობა, რომ საქართველოს პარლამენტი ½-ის უმრავლესობით ორჯერ ვერ შეძლებს კანდიდატის არჩევას.

საქართველოს კონსტიტუციის 52-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტი ორგანული კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით მონაწილეობს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და წევრების თანამდებობაზე

განწესებაში. ამასთან, კონსტიტუციის 53-ე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, თანახელმოწერისაგან თავისუფლდება ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და წევრის თანამდებობაზე განწესებასთან დაკავშირებით გამოცემული საქართველოს პრეზიდენტის სამართლებრივი აქტი. საქართველოს პარლამენტის მიერ 2024 წლის 20 თებერვალს მიღებული და ხელმოსაწერად წარმოდგენილი ცვლილებების, ისე როგორც 2023 წლის 3 ივლისს მიღებული ცვლილებების თანახმად, კონკურსს აცხადებს და საკონკურსო კომისიას ქმნის საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე. მაშინ, როდესაც საქართველოს პრეზიდენტი ზეპარტიული თანამდებობის პირია, ხოლო საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, მოცემულ ვითარებაში, პარლამენტის უმრავლესობით არჩეული და მმართველი გუნდის წევრია, პრეზიდენტის როლის არსებითად შემცირება ცესკოს ე.წ. არაპარტიული/პროფესიული წევრებისა და თავმჯდომარის არჩევის პროცესში გაუმართლებლად უნდა იქნეს მიჩნეული.

ის, რომ ცვლილებებით პარლამენტის თავმჯდომარეს უნარჩუნდება ნომინაციის უფლებამოსილება, ვენეციის კომისიის და ODIHR-ის დასკვნაში კრიტიკულად არის შეფასებული, როგორც ხელიდან გაშვებული შესაძლებლობა, რომ კიდევ უფრო გაიზარდოს საზოგადოების ნდობა ცესკოს მიმართ, რადგან საქართველოში პრეზიდენტის თანამდებობა აღიქმება როგორც არაპარტიული და საზოგადოების შედარებით მაღალი ნდობის მქონე, რომელიც მოქმედებს როგორც „ქვეყნის ერთიანობისა და დამოუკიდებლობის გარანტი“. თავის მხრივ, პარლამენტის თავმჯდომარის ოფისის ინსტიტუციური ფუნქციის მიუხედავად, თავმჯდომარე აირჩევა დეპუტატების აბსოლუტური უმრავლესობით, ამდენად, როგორც წესი, უმრავლესობის მქონე პარტიის ან პოლიტიკური ჯგუფის მიერ (იხ., ვენეციის კომისიისა და ODIHR-ის ერთობლივი დასკვნა CDL-AD(2023)047, გ31).

გარდა ზემოაღნიშნულისა, 2024 წლის 20 თებერვალს მიღებულ საარჩევნო კოდექსში ცვლილებებით უქმდება ცესკოს თავმჯდომარის იმ მოადგილის თანამდებობა, რომელზეც პირი ცესკოს პარტიული წევრებისგან ოპოზიციის კვოტით ინიშნება.

როგორც ეს ვენეციის კომისიისა და ODIHR-ის დასკვნაშია აღნიშნული, მოცემული თანამდებობა და დაწიშვნის მექანიზმი თავდაპირველად შეიქმნა 2021 წლის 19 აპრილის პოლიტიკური შეთანხმების საფუძველზე, როგორც ზომა, რომელიც მიზნად ისახავს პოლიტიკური უთანხმოების აღმოფხვრასა და საარჩევნო ადმინისტრაციის მიმართ საზოგადოების ნდობის გაზრდას (იხ., ვენეციის კომისიისა და ODIHR-ის ერთობლივი დასკვნა CDL-AD(2023)047, §35).

დასკვნაში განმარტებულია, რომ ასეთი ხელმძღვანელი თანამდებობის მიზნებიდან გამომდინარე, რთულია მისი გაუქმების დასაბუთების აღქმა, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში საარჩევნო ადმინისტრაციისადმი ნდობის ნაკლებობა მთავარი გამოწვევაა. ცესკოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის მიმართ ნდობის გაზრდის აუცილებლობის გათვალისწინებით, ცენტრალური საარჩევნო ორგანოს ხელმძღვანელობასთან მიმართებით მსგავსი ნაბიჯი ამ დროისათვის მიზანშეწონილი არ არის. შექმნილ ვითარებაში ვენეციის კომისიისა და ODIHR-ის რეკომენდაციაა, პროექტიდან ამოღებულ იქნეს ოპოზიციური პარტიის მიერ დანიშნული ცესკოს წევრებიდან არჩეული თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობის გაუქმება (იხ., ვენეციის კომისიისა და ODIHR-ის ერთობლივი დასკვნა CDL-AD(2023)047, §36).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კვლავინდებურად გთავაზობთ კომპრომისულ ვერსიას. იმის გათვალისწინებით, რომ, სამწუხაროდ, ვერ იქნა მიღწეული პარლამენტის მიერ ორმესამედიანი კონსენსუსით ცესკოს თავმჯდომარისა და წევრთა არჩევა, გთავაზობთ, ცესკოს თავმჯდომარისა და ე.წ. პროფესიული წევრების არჩევისათვის განისაზღვროს სამმეხუთედიანი უმრავლესობა (როგორც ეს განისაზღვრა სახალხო დამცველის არჩევის შემთხვევაში). ხოლო, იმ შემთხვევაში, თუ კანდიდატმა ვერ მიიღო სამი მეხუთედის უმრავლესობის ხმები,  $\frac{1}{2}$ -ის უმრავლესობით კანდიდატი არჩეულ იქნება 6 თვის ვადით.

მნიშვნელოვანია, რომ კონკურსი ცესკოს თავმჯდომარისა და ე.წ. პროფესიული წევრების შესარჩევად გამოაცხადოს და საკონკურსო კომისია შექმნას საქართველოს პრეზიდენტმა, შემდეგ კი შერჩეული კანდიდატურები წარუდგინოს საქართველოს პარლამენტს.

ცესკოს მიმართ ნდობის მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად, ასევე მნიშვნელოვანია, რომ საარჩევნო კოდექსით გათვალისწინებული ოპოზიციური პარტიების მიერ დანიშნული ცესკოს წევრებიდან არჩეული თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობა შენარჩუნდეს. აუცილებელია, რომ ცესკოს თავმჯდომარის აღნიშნული მოადგილე, საზოგადოებისა და საარჩევნო პროცესებში ჩართული პოლიტიკური პარტიების მხრიდან ნდობის უზრუნველსაყოფად, აღჭურვილი იყოს სათანადო უფლებამოსილებებით, ხოლო, რაც შეეხება ცესკოს თავმჯდომარის არყოფნისას მისი უფლებამოსილების განხორციელებას, გთავაზობთ, აღნიშნული განახორციელოს ცესკოს თავმჯდომარის იმ მოადგილემ, რომელიც არჩეულია არა ოპოზიციური პარტიების მიერ დანიშნული ცესკოს წევრების, არამედ საქართველოს პარლამენტის მიერ არჩეულ ცესკოს წევრთაგან, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში - ოპოზიციური პარტიების მიერ დანიშნული ცესკოს წევრებიდან არჩეული თავმჯდომარის მოადგილემ.

ამასთან, გთავაზობთ, საქართველოს პრეზიდენტმა საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ შესაბამისად, 2024 წლის პირველ მაისამდე გამოაცხადოს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე განსაწესებელი ცესკოს თავმჯდომარეობის კანდიდატისა და ცესკოს ყველა იმ არჩეული წევრის თანამდებობაზე განსაწესებელი ცესკოს წევრობის კანდიდატების შესარჩევი ღია კონკურსი, რომლის უფლებამოსილების 6-თვიანი ან 5-წლიანი ვადაც გასულია ან 2024 წლის პირველ მაისამდე გადის, და შექმნას ამ კანდიდატების შესარჩევი საკონკურსო კომისია. ამის შემდეგ, კანონის თანახმად გაგრძელდეს შესაბამის

პირთა ცესკოს თავმჯდომარისა და ცესკოს აღნიშნული წევრების თანამდებობებზე განწესებისთვის დადგენილი სათანადო პროცედურები.

აღნიშნული შეთავაზებები იწვევს საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში ცვლილებების განხორციელების აუცილებლობას ორგანულ კანონთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. ამდენად, გთავაზობთ, პრეზიდენტის მიერ შემოთავაზებული კანონპროექტის პარლამენტის მიერ გაზიარების შემთხვევაში, კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს, რათა პარლამენტმა შეძლოს და უზრუნველყოს საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში შესაბამისი ცვლილებების შეტანა.

სალომე ზურაბიშვილი